

N გ-20-03/2048
24/06/2020

2048-გ-20-03-2-202006242207



საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანს

ბატონ ბექა დოჭვირს

ბატონო ბექა,

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) მიერ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გადმოიგზავნა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონების პროექტები.

მოგესხნებათ, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის N35 დადგენილებით დამტკიცებული „რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად საჭიროებს რეგულირების ზეგავლენის შეფასებას.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში წარმოდგენილი ცვლილებების მიღება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, რამდენადაც კანონპროექტის მიღების დაყოვნებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესს და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს, როგორც სახელმწიფო კონკურენტუნარიანობას რეგიონული მასშტაბით, ასევე ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირებისა და მილიონობით მომხმარებლის კანონიერ ინტერესებს. კომისიის წინაშე მწვავედ დგას ის პრობლემა, რომ ცალკეულ შემთხვევებში კომისიის მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების აღსასრულებლად კანონით დადგენილ სანქციებს ხშირად ეფექტი არ აქვს და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აღუსრულებელი რჩება. მოქმედი კანონმდებლობით კომისიას გარდა ჯარიმისა და ავტორიზაციის შეჩერებისა, საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულების სხვა მექანიზმი არ გააჩნია. ჯარიმებს, ხშირ შემთხვევაში ეფექტი არ აქვს, ხოლო ავტორიზაციის შეჩერება/ლიცენზიის გაუქმებამ კი ცალკეულ შემთხვევებში

შესაძლოა უდიდესი ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკას, საზოგადოებრივ ინტერესს, სხვა ავტორიზებულ პირებს და მომხმარებლებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კრიტიკულად აუცილებელია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილების დაუყოვნებლივ შეტანა და კომისიისთვის მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისთვის შესაბამისი მექანიზმების შექმნა. კანონპროექტის სასწრაფო წესით მიღების აუცილებლობას განაპირობებს ისიც, რომ ერთის მხრივ, ივნისის ბოლო პარასკევს სრულდება საპარლამენტო სესიები და პარლამენტს მუშაობა უწევს რიგგარეშე სესიის ფორმატში, ხოლო მეორეს მხრივ, საშემოდგომო სესიების განახლებამდე კანონპროექტის მიუღებლობით (კომისიისთვის შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების გარეშე), შეიძლება დაზიანდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები, ქვეყნის ეკონომიკური ინტერესი და რეგიონული კონკურენტუნარიანობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია რომ სახეზეა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 17¹ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული განსაკუთრებული გარემოება, როდესაც კანონპროექტის მომზადებისა და წარდგენის დაყოვნება გაუმართლებელია. შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, გაგვათავისუფლოთ აღნიშნულ კანონპროექტზე რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჩატარების ვალდებულებისაგან.

ამასთან, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 თებერვლის №77 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის“ 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილება, რათა წარმოდგენილი კანონპროექტი სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნების გარეშე წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ასევე, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გვიშუამდგომლოთ საქართველოს პარლამენტთან, რათა აღნიშნული ინიციატივა განხილულ და მიღებულ იქნეს დაჩქარებული წესით.

კახი ბექაური

თავმჯდომარე
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

